არ მინახავს მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ისე, რომ იგი მთელი გულით გაცინებულიყო, ისე, რომ მისი სასის უკანა ნაწილი დამენახა. ის მხოლოდ იღიმებოდა

გადმოცემულია მორწმუნეების დედა აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: «არ მინახავს მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ისე, რომ იგი მთელი გულით გაცინებულიყო, ისე, რომ მისი სასის უკანა ნაწილი დამენახა. ის მხოლოდ იღიმებოდა».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არასოდეს იცინოდა ისე ძლიერად, რომ მისი სასის უკანა ნაწილი, რომელიც ყელის ზედა ნაწილში მდებარეობს, გამოჩენილიყო. ის მხოლოდ იღიმებოდა.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/3060